საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

კვირა, 29 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 30 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 30

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სოციალისტური პროლეტარიატის დაცემა მსოფლიო ომის დროს არის უმაგალითო, არის უბედურება მთელი კაცობრიობისათვის. სოციალიზმი იქნებოდა დაღუპული მსოფლიოთ იმ შემთხვევაში, თუ სოციალისტური პროლეტარიატი ვერ გაზომავდა სიღრმეს ამ დაცემისას, თუ ის არ ისწავლიდა მიეღო აქედან გაკვეთილები“.

**როზა ლიუკსემბურგი.** „Кризис соц. дем.“.

## მცირე შედეგი

საშინაო პოლიტიკის საკითხთა შორის ყველაზე უფრო მწვავე და თან მნიშვნელოვანი შექმნილ პირობებში არის საკითხი ჩვენი პარტიის ლეგალიზაციისა. და ეს არა მარტო ჩვენთვის, რომელთათვის იგი პირდაპირ არსებობის საკითხია, არამედ ჩვენი მოწინაალმდეგეთათვისაც, რომელთაც ბედმა არგუნა მთელი ცხოვრების მესვეურობა. სრულიათ ბუნებრივია, როდესაც ჩვენც და ისინიც ამ საკითხს ვრცელ, დასაბუთებულ წერილებს და სტატიებს ვუძღვნით და თავ-თავისი შეხედულებით მას ვარკვევთ და ვაშუქებთ.

რა შედეგი მივიღეთ იმ აზრთა შეხლა-შემოხლიდან, რომელსაც ჩვენსა და ჩვენს მოწინააღმდეგეთა შორის დღემდე ადგილი ქონდა?

ჩვენი დებულებები შემდეგი იყო: 1) ჩვენს პარტიას სდევნიან, როგორც პროლეტარიატის პარტიას; 2) არც ერთი სხვა პარტია არ განიცდის დევნას საქართველოში, რადგან მათგან არავითარი საფრთხე არ მოელის მმართველ პარტიას და 3) ჩვენი დევნის საქმეში არაფერს შუაშია საქართველოს დამოუკიდებლობა.

მხოლოდ პირველი დებულება სცნეს უდავოთ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, ესე იგი, განა აშკარათ აღიარეს, რომ ჩვენს პარტიას სდევნის საქართველოს მთავრობა. ესეც არ არის მნიშვნელობას მოკლებული, მეტადრე თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მიუხედავათ ჩვენი პარტიის სასტიკი დევნისა მმართველი წრეები სიტყვიერათ მუდამ უარყოფდენ ამ ფაქტს, და საქართველოს ხატავდენ, როგორც უაღრესად დემოკრატიულ ქვეყანას, სადაც სიტყვის, ბეჭდვის, კრების და სხვა თავისუფლებით ხელშეუშლელათ სარგებლობენ ყველა პარტიები და კერძო მოქალაქენი. დღეს ისინი თითონ აღიარებენ, რომ ჩვენს პარტიას ისინი სდევნიან და—მათივე სიტყვით რომ ვსთქვათ, ისინი მას სდევნიან „გააფთრებით“.

მეორე დებულება მხოლოდ სანახევროთ იცნეს ჩვენმა მოკამათეებმა. მათ ვერც ერთი ქართული პარტია ვერ დაასახელეს, რომელსაც ჩვენი ბედი განეცადოს დევნის მხრით და სამაგიეროთ იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენთან ერთად ისინი სხვებსაც სდევნიდენ, მათ დაასახელეს დაშნაკციუთიუნი, დენიკინელები და სერვერბეგი. მათ ანგარიში არ გაუწიეს იმ ჩვენს მოსაზრებას, რომ აქ ეს პარტიები მოსატანი არ იყო, რადგან მათთან ბრძოლა იყო არა კლასობრივი, არამედ ნაციონალური ბრძოლა, რომელიც შეიძლება სწარმოებდეს ერთგვარ კლასობრივ ძალთა შორის თვით კლასობრივი საფუძვლის ხელშეუხებლათ. ამ მოსაზრების გასაბათილებლათ მათ მარქსიც მოიშველიეს და თქვეს, რომ „ყოველივე ნაციონალური ბრძოლის სათავეში კლასიური ბრძოლა დევსო.“

ამაზე ცოტა შევჩერდეთ. ჩვენს მოკამათეებს ისე საფუძვლიანათ დაუწყნიათ კლასთა ბრძოლის თეორია (თუ ოდესმე იცოდენ) რომ არ იციან, სად და როგორ მოიხმარონ იგი. არა „კლასიური ბრძოლა,“ როგორც ამას ჩვენი მოკამათეები ამბობენ, არამედ კლასობრივი **ინტერესები** მართლა დევს „ნაციონალური ბრძოლის სათავეში“ (თუ საფუძველში). მიუხედავათ ამისა, ნაციონალური ბრძოლის მონაწილენი აწარმოებენ არა კლასთა ბრძოლას არამედ სამეტოქეო ბრძოლას. მაგალითათ, უკანასკნელ იმპერიალისტურ ომის დროს გერმანია და ინგლისი ერთმანეთს ებრძოდენ თავ-თავის ბურჟუაზიული კლასების სახით, და ვინ იტყვის, რომ მათ შორის იყო ამტყდომი კლასთა ბრძოლა, რომელსაც მიზნათ ქონდა მოპირდაპირის დამარცხება, როგორც მოწინააღმდეგე პრინციპის მატარებელი ძალისა; პირიქით: ერთი და იმავე პრინციპის მატარებელი კლასები ერთ და იმავე ნიადაგზე ექიშპებოდენ, ეტოქებოდენ ერთმანეთს, ეს იყო სამეტოქეო და არა კლასთა ბრძოლა.

თვით „ერთობის“ მიერ მოყვანილი დაშნაკელების მაგალითიც სავსებით ადასტურებს ამავე მოსაზრებას „დაშნაკციუტიუნი“—სწერს „ერთობა“—(გარდა სხვა მიზეზებისა) უმთავრესათ იმიტომ იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოკიდებულობის მოწინააღმდეგე, რომ ეს დამოუკიდებლობა ართმევდა სომხის ბურჟუაზიას ორ მთავარ ცენტრს, რომლებშიაც თავმოყრილი იყო მისი ინტერესები—ბაქოს და თბილისის“. დიახ, სწორეთ ასე იყო. ბრძოლა სწარმოებდა ამ ქალაქებისათვის, იმისთვის თუ ვის დარჩენოდა ბურჟუაზიული ექსპლოატაციის საწარმოებლათ ქ. თბილისი—სომხებს, თუ ქართველებს. აქ ორივე პარტია (სიტყვის ფართო მნიშვნელობით) როგორც სომხური, ისე ქართული, ერთ და იმავე ნიადაგზე იდგა, ერთმანეთს ტერიტორიაზე ეცილებოდა, ხოლო ამ ტერიტორიაზე საწარმოვო ურთიერთობა ძველებური რჩებოდა, რომელ პარტიასაც უნდა გაემარჯვნა.

ამნაირათ, ჩვენი მეორე დებულების არცნობამ ჩვენს მოკამათეს კლასთა ბრძოლის თეორიაც დაამახინჯებინა. მაშასადამე, მას ერჩივნა ისიც სავსებით ეცნო.

რაც შეეხება მესამე დებულებას, რომ ჩვენი დევნის საქმეში არაფერ შუაშია საქართველოს დამოკიდებლობა, ეს დებულება სრულიათ არ მიიღეს ჩვენმა მოწინაალმდეგეებმა და ერთხელ კიდევ გაიმეორეს, რომ ჩვენი დევნის ერთათ ერთი მიზეზი მხოლოთ საქართველოს დამოუკიდებლობის არ ცნობაა ჩვენის მხრით.

საკითხის სიმძიმის ცენტრი სწორეთ აქ იყო. ჩვენ ვრცლათ დავასაბუთეთ ეს ეს დებულება და გვეგონა, რომ ოღნავ რიგიანი მოკამათე სწორეთ ამას გაუწევდა ანგარიშს. ნამდვილათ რა მოხდა? ჩვენმა მოკამათემ არავითარი ანგარიში მას არ გაუწია, მან, უმჯობესათ აღიარა გაემეორებინა ათასჯერ დაღეჭილი ფრაზები და მით მოიშორა საკითხი თავიდან. აქედან აშკარაა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგისთვის პირდაპირ შეუძლებელი შეიქნა ჩვენი საბუთებს ოღნავ მაინც ახლო გაკარებოდა, რადგან მათ წინააღდეგ სათქმელი მას არაფერი ქონდა. ამით აშკარათ დამტკიცდა, რომ ჩვენი დევნის საქმეში სრულიათ არაფერ შუაშია საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც ჩვენ ვცნობთ დღიდან საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრისა.

ჩვენ ყოველი ღონე ვიღონეთ იმ ქირის გასაბათილებლათ, რომელსაც ჩვენი მოწინააღმდეგენი ეძებნობიან ჩვენი დევნის გასამართლებლათ და თუ იმის შემდეგაც მასვე იმეორებენ, აშკარაა, ისინი დგანან უხეირო ძალადობის ნიადაგზე.

ჩვენ ყოველ შემთხვევაში აღვნიშნავთ იმ მცირე შედეგს, რომელიც ამ კამათმა მოგვცა, და განვაგრძობთ ბრძოლას. ჩვენი პარტიის არსებობისთვის, რა მძიმე პირობებიც არ უნდა ყოს ჩვენს გარშემო ხელოვნურათ შექმნილი. ეს შედეგი კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენიც ვეღარ უარყოფენ დღეიდან, რომ ისინი ჩვენ გვდევნიან და გვდევნიან „გააფთრებით“, რომ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე ერთათ ერთი მათი მოწინააღმდეგე ჩვენი პარტიაა და რომ მიზეზი ჩვენი დევნისა არის ის, რომ ჩვენ ვართ ყველაზე დაგრული კლასის —პროლეტარიატის პარტია.

ბრძოლა ჩვენი პარტიის ლეგალიზაციისათვის კიდევ წინ არის.

## სოფლის მატყუარა.

თავის თანამოაზრეების ანუგეშოთ და მკითხველების მოსატყუებლათ მენშევიკურ გაზეთებში ხშირათ ხვდებით იმ აზრს, რომ ბოლშევიკების გავლენა ფრიად სუსტია საქართველოში, რომ მთელი მათი ჯარი შესდგება მელი გაბოროტებული ჩინოვნიკებისაგან, რომლებსაც თავის თბილი ადგილები მიატოვებიეს და რომლებიც ჰლამობს ძირს დასცენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობაო. მათი სიტყვით ჩვენი მშრომელი მასა და საზოგადოებრივი აზრი არ განიცდის ჩვენი პარტიის გავლენას. მიუხედავათ ამისა მთელი სახელმწიფოების აპარატი ამოძრავებულია ჩვენი ფიზიკური და პოლიტიკური განადგურებისათვის. მათი გაზეთები, არა მარტო პარტიული, არამედ მათი დამხმარე აშკარა ბურჟუაზიული ორგანოებიც, თითქმის ყოველ დღე ყელამდე არიან ამოყორილი და გუდდებიან სხვა-და-სხვა მასალებით: ორიგინალურით, ნათარგმნით ჩვენებურ და რუსეთის ბოლშევიკების წინააღმდეგ. ჩვენი გავლენის შესამუსრავათ სდგება სპეციალური საპროპაგანდო-სააგიტაციო წრეები, იხარჯება აუარებელი ფული, იცემება ახალი წიგნები და გაზეთები ფართო მასასთან დასაახლოებლათ და იქ ბოლშევიზმის წინააღმდეგ მუშაობის საწარმოებლათ.

მთელი ეს ფაცა ფუცი, ეს განაწია და ჩოჩქოლი ჩვენ ირგვლივ და ჩვენ წინააღმდეგ სრულიადაც არ შეეფერება იმ ოფიციალურ გარეგან „სიმშვიდეს“, რომელიც შეითვისეს ნაძალადევათ ჩვენმა მოწინააღმდეგე გაზეთებმა მენშევიკური ორგანოების ხელმძღვანელობით და ტონის მიცემით. მარა მათ მიერ ასე გამოჯედილი და გაბრუებული მკითხველები, ყოველ შემთხვევაში თავის მასაში, ამ კითხვების დაყენებით ჯერ კიდევ მაინცა და მაინც თავს არ იტკივებენ...

ამ დღეებშიდაც მათ გამოუშვეს გაზეთი „სოფლის მუშა“ (ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა), რომელიც მიმართული იქნება როგორც თვით გაზეთში სწერია იმ „სხვა-და-სხვა ჯურის არამზადების“ წინააღმდეგ, რომლებიც „სოფლათ დაძრწიან და ხალხს სხვა-და-სხვა ცარიელი დაპირებებით დღესვე გაბედნიერებას ჰპირდებიან“. გაზეთი თავის მხრით გვპირდება, რომ შინაურ კითხვებს გარდა ის ეცდება აგრეთვე გააშუქოს საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა და ამ დაპირებას ასრულებს კიდევაც სარედაქციო წერილში, სადაც ის „აშუქებს“ ევროპისა და რუსეთის ურთიერთ შორის დამოკიდებულებას.

ამ თემაზე გაზეთში დაგროვილ ზოგი აშკარა ტყუილით, ზოგიც მოვლენათა გაბრუნდებული განმარტებით, მენშევიკების დამფრთხმლი გონება რასაკვირველია, ვერ ამაღლებულა იმ ობივატელურ შეხედულობაზე, რომელიც მართლა რომ შეეფერება მათ მიმყოლ მეწვრილმანეების, მედუქნეების და ზოგი ჩამორჩენილ სოფლელების „მსოფლ-მხედველობა“ს. მარა პოლიტიკურ გაზეთს თავისი დანიშნულება აქვს, ამიტომ აქ მარტო მენშევიკების მაერ მეშჩანურ შეხედულობასთან შეფარდებაზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი... უდიდესი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც სწარმოებს დღეს ქვეყნის დამქცევი და გამაპარტახებელი იმპერიალისტური შავი რეაქციისა და რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის შორის მთელი არსებული სოციალ ეკონომიური სისტემის ან შესანარჩუნებლად ან მის ძირიან-ბუდიანა შესაცვლელათ, ჩამოქვეითებულია „სოფლის მუშის“ ფურცლებზე ევროპისათვის რუსეთის პურის მისაღებათ წარმოებულ ბრძოლისადმი. „რუსეთის მდგომარეობაო—ამბობს გაზეთი—თვით ევროპაში იწვევს გაჭირვებას, პურისა და სურსათის ნაკლებობას. ევროპამ რომ თავიდან აიცილოს ეს გაჭირვება, საჭიროა რომ რუსეთში მშვიდობიანობა დამყარდეს. ამიტომო—განაგრძობს მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის გაზეთი—ევროპის სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი ინგლისი და საფრანგეთი, ცდილობენ რუსეთის დაწყნარებას (რა წყნარი ხალხია ეს ინგლის საფრანგეთის იმპერიალისტები! ქ. კ.) და ამ მიზნით ისინი ეხმარებოდენ ყველას, ვინც ბოლშევიკურ მთავრობას ებრძოდა, კოლჩაკს. დენიკინს, ვრანგელს და დღეს პოლონეთსო“.

„სოციალისტს“, რომლის კალამმაც ეს შავი მურტალი სიტყვები თეთრ სუფთა ქაღალდზე გადაიტანა, უეჭველათ მუცელში უნდა ჩაუვარდეს ენა, რომელიმემ მის გზადაბნეულ მკითხველთაგან რომ კითხვა დაუყენოს იმის შესახებ, თუ რომ იმპერიალისტების მიზანია პურის მისაღებათ რუსეთის „დაწყნარება,“ რატომ ეს ჯენტლმენები პირიქათ ბოლშევიკებს არ ეხმარებიან ვოლჩაკის, დენიკინის და ვრანგელის წინააღმდეგ? ხომ აშკარაა, რომ ამ გზით უფრო მალე დაწყნარდებოდა რუსეთი, რადგან შინაური რეაქცია იქ ხერხემალ-გატეხილია და ბოლშევიკების ძალაც იმდენათ ძლიერი, რომ მის წინააღმდეგ 14 სახელმწიფოს დახმარებითაც ვერასფერი მოახერხა ამ რეაქციამ. მაშ ეტყობა იმპერიალისტების სურვილი რუსეთის დაწყნარებაზე და პურის მიღებაზე ცოტა უფრო შორს მიდის, რადგან „გრძნობენ“ რა ხდება რუსეთში და მისი გავლენით მთელ მსოფლიოში.

ვინ უარჰყოფს, რომ დამშეულ ხალხისთვის იმპერიალისტებს პური სჭირიათ არა მის გასაძღომათ, რასაკვირველია, არამედ მათი რისხვის თავიდან ასაცილებლათ: მარა პოლიტიკურა მოღვაწე, რომელიც ადის ტრიბუნაზე და შეგროვილ სოფლის მუშებს ასე განუმარტავს მიმდინარე ბრძოლის მიზეზებს, ის არის არა სოციალისტი, თუ გინდ ფრჩხილებში ჩასმულიც, არამედ ერთი ვინმე პოლიტიკური არამზადა და ხალხის განზრახ მატყუარა.

მარა ეს კიდევ არაფერი ჩვენი სოფლის მატყუარა ფეხს ვეღარ იკიდებს და მოწყვეტილი ქვასავით მიგორავს ტყუილების დაღმართში. ბოლშევიკები თურმე „ომიანობის გათავებას მაინცა და მაინც არ ცდილობენ“—ეს იმიტომო, ამბობს არამზადა, რომ „ომი ბოლშევიკებს არსებობის დღეს უგრძელებსო“.

ვინ არ იცის, რა დათმობაზე მიდიოდენ ბოლშევიკები ინგლისთან მოლაპარაკებაში, ვის არ გაუგონია, რა შერიგების პოლიტიკას აწარმოებდენ (თვით „ერთობის“ და ყველა ჩვენი მოწინააღმდეგეების ცნობითაც) ჩვენი ამხანაგები პოლონეთთან? ეს ყველამ იცის, იცის თვით „სოფლის მუშის“ რედაქციამაც, მარა ამ რედაქციამ ისიც იცის, რომ პოლიტიკური არამზადის მცნების თანახმათ ატყუო უნდა მოყვასი შენი, როდესაც საჭიროა დემაგოგიური მიზნით ბოლშევიკების წინააღმდეგ „სოფლის მუშა“ აამხედრო.

პოლონეთი დამარცხდა, რუსეთის მთავრობას ზავს სთხოვს მარა ბოლშევიკური მთავრობა არ ჩერდება: მაინც და მაინც ვარშავა უნდა ავიღოთო. ბოლშევიკებს ვერ მოუხერხებიათ უომრათ და სისხლის უღვრელათ არსებობაო—ათაეებს გაზეთი

რედაქციამ, რასაკვირველია, იცის, რომ პოლონეთის თეთრ-გვარდიას და მის უკან მდგომ ევროპის რეაქციას რაზე დასჭირდათ ზავზე ლაპარაკი, რომ ამ ზავზე ლაპარაკი სრულიადაც არ ნიშნავდა მათ მიერ ზავის ჩამოგდების სურვილს შექმნილ გარემოებებში, რაც მათი მხრით მინსკის მოლაპარაკების გაჭიანურებამ აშკარად დაამტკიცა. რედაქციამ იცის, რომ ვარშავის აღების გადაწყვეტილება ამ გარემოებებში ნაკარნახევი იყო საბჭოთა მთავრობისათვის როგორც თავდაცვის საუკეთესო გარანტია შექმნილ პირობებში, რომ ამით ლახვარი ჩაეცა პოლონეთის პანებისა და მათი ბრძანებლებისათვის და მით რამოდენიმე ხნით მაინც უზრუნველ ეყო თავის დაწყებული აღმშენებლობითი მუშაობის გაგრძელება.

ყოველისფერი ეს თაყდაყირა დააყენა „სოფლის მატყუარას“ რედაქციამ და მით პირნათლათ შეასრულა თავის დანაპირევი საერთაშორისო მდგომარეობის „გაშუქების“ შესახებ.

მე ვიცი რომ მენშევიკური გაზეთები მკითხველებს ყოველისფერს აყლაპვინებენ რისიც მიტანა არ დავარდებათ ხოლმე მათ ლიტერატურულ კულინარებს, მარა მგონია, რომ ყოვლის შეჩვეული მათი კუჭიც ძნელათ მოინელებს იმ საზრდოს, რასაც მათ სთავაზობს „სოფლის მუშის“ რედაქცია.

ქ. კრედო.

## ადგილობრივი პრესა.

ყოველი კრიზისის დროს ჩვენებურ მენშევიკებს გზათ ქონდათ ერთათ-ერთი უებარი საშუალება. ისინი მსოფლიო ომით გამოწვეულ არევ-დარევას მოიმიზეზებდენ, მაგრამ უმთავრესათ კი ყველაფერს ადგილობრივ ბოლშევიკებს დააბრალებდენ. გამოყეყეჩებული მკითხველიც გულში მუშტის ცემით ურიგდებოდა აუტანელ მდგომარეობას და მორჩილათ განაგრძობდა გამწარებულ ცხოვრებას. და ჩვენი მხრით უსამართლობა იქნებოდა არ ალგვენიშნა ის ერთათ-ერთი გამონაკლისი ამ საერთო წესიდან, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მაგალითს წარმოადგენს „ერთობის" გუშინდელი მოწინავე. საქონლის ფასების ის წარმოუდგენელი ნახტომი, რომელსაც ამ ბოლო დღეებში აქვს ადგილი, „ერთობასაც" უფრთხობს მოსვენებას და იგი ხუმბრობა-გაშვებით ილაშქრებს ბურჟუაზიული კლასის წინაალმდეგ, წერილი ასე იწყება:

„უკანასკნელი ჯამაგირების მომატების შემდეგ ერთი ორათ გაიზარდა ყოველი ნანოვაგის ფასი. გაიზარდა, ვინაიდან სხვა გზით არ შეიძლებოდა დაფარვა იმ ფულის, რომელიც ახალ ჯამაგირებში უნდა იქნეს მიცემული. გაიზარდა კიდევ იმიტომ, რომ უამისოთ ვაჭრუკანები და სპეკულიანტები ვერ მიიღებენ იმ საზღაპრო მოგებას, ურომლისოთ მათ მზე-მზეთ არ ეჩვენებათ".

ვინ „ერთობა" და ვინ ჩვენი ვაჭართა კლასის ასე უდიერათ ხსნენება! ერთი შეუსაბამობა კი აშკარათ სჩანს ამ ამონაწერში: თუ სხვა გზით არ შეიძლებოდა იმ ფულის დაფარვა, რომელიც ახალ ჯამაგირებში უნდა იქნეს მიცემული, რაღას ერჩის გაზეთი ამ „ვაჭრუკანებს და სპეკულიანტებს". ორში ერთი: ან ჯამაგირების მომატებას სატარიფო პალატის მიერ ის აზრი ქონდა, რომ მუშათა მსყიდველი ძალა დასწეოდა მანამდე ხელოვნურათ აწეულ ფასებს ამ „ვაჭრუკანებისა და სპეკულიანტების" მიერ და აქ გადიდებულ ჯამაგირების დაფარვა უეჭველათ შეიძლებოდა უამისოთ, რომ საქონლის ფასებს ხელახლა არ წამატებოდა, ან ეს ჯამაგირების მომატება ხდებოდა საქონლის ფასების უკვე მომხდარ გადიდებასთან დაუკავშირებლათ და მაშინ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ახალ ჯამაგირების დასაფარავათ აუცილებელი იყო საქონლის ფასების გაზრდაც. ჩვენ კი გვგონია, რომ სატარიფო პალატის დადგენილებას, როგორც მენშევიკების ყოველ სხვა ზომას, არავითარი აზრი არ ქონდა: ის უმატებს ჯამაგირებს და ამით ვითომ ცდილობს დააწიოს მუშათა მსყიდველი ძალა უკვე არსებულ გაძვირებას და ამავე დროს არავითარ ზომებს არ იღებს, რომ მეორე დღესვე (და ნამდვილათ კი უფრო ადრე) ამ „ვაჭრუკანებმა და სპეკულიანტებმა" ერთი-ორათ და უფრო მეტათ არ წაუმატონ ფასები.

ასეა თუ ისე, დღეს „ერთობა" უკვე ამხედრებულია (სიტყვირათ მაინც) ვაჭართა კლასის წინაალმდეგ. გაზეთი განაგრძობს:

„და ამ რიგათ მუშათა ბრძოლის ნაყოფი, რომელმაც აიძულა საკანონმდებლო დაწესებულებანი ფულის რაციონის გადიდება, გამოდგა სარფათ მხოლოთ ვაჭრებისათვის, მხოლოთ სპეკულიანტებს მოუტანა სარგებლობა."

როგორ! განა ჩვენში მუშებს ბრძოლა სჭირდებათ, რომელიც თურმე „აიძულებს" კანონმდებელთ გაადიდონ „ფულის რაციონი"? ესეც უჩვეულო რამ არის „ერთობის" ფურცლებზე. ჩვენ ხომ მუშათა მთავრობა გვყავს იმავე „ერთობის" ფიცით; ჩვენი დამფუძნებელი კრებაც— ეს საკანონმდებლო დაწესებულება—ხომ მთლათ მენშევიკებით არის სავსე. მაგრამ ალბათ ეს პატივცემული დაწესებულებანი თავისთავათ ყურსაც არ იბერტყავენ მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და მუშები იძულებული არიან იბრძოლონ და საკანონმდებლო დაწესებულება თავის მხრივ „იძულებულია" ამ ბრძოლას ანგარიში გაუწიოს.

„ერთობა" გამოსავალ გზას ეძებს შექმნილ მდგომარეობიდან:

„საჭირო და აუცილებელია სულ სხვა გზა, საჭიროა შინაგან ძალთა ამუშავება, წარმოება—მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ქვეყნის სიმდიდრეთა დამუშავება. ეს ერთად ერთი ხსნა და რადიკალური ზომაა სიძვირესთან ბრძოლაში."

ყველაფერი ეს რასაკვირველია, ძალიან კარგია, მით უმეტეს, რომ „ერთობა" ახლავე გვპირდება მასიური საგნების ვაჭრობის რეგლამენტაციას. ვშიშობთ მხოლოთ დაპირება დაპირებათ არ დარჩეს და გაზაფხულის იონჯის მოლოდინში ვერ შეამსუბუქოს ზეთრის ყინვა-სიცივის სუსხი.

# ინტერნაციონალის გარემო.

## კომუნისტური ინტერ. მეორე კონგრესი პეტერბურგში.

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ." № 29.)

### მიმართვა პეტერბურგის მუშებისადმი.

„ძმებო, კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე კონგრესი, ხსნის რა თავის სხდომებს წითელ პეტერბურგში, მხურვალეთ გესალმებათ თქვენ, პეტერბურგის მუშებს და მუშა ქალებს, წითელ არმიელებს, მატროსებს და ყველა მუშაკებს.

ჩვენ მთელი მსოფლიოს მუშათა ორგანიზაციების დელეგატებმა მოვალეთ ჩავთვალეთ ჩვენი თავი გაგვეხსნა კონგრესის პირველი სხდომა პეტერბურგში, რომ ამით გამოგვეთქვა პატივის ცემა და სიყვარული წითელ პეტერბურგის პროლეტარიატისადმი, რომელიც პირველი აღსდგა ბურჟუაზიის წინაალმდეგ და ძალღონის და ნების გმირულ სიმტკიცით დაამხო კაპიტალის ბატონობა ბურჟუაზიულ მსოფლიოს ერთს უუმნიშვნელოვანეს სიმაგრეში.

პროლეტარებმა ყველა ქვეყნისამ იციან, თუ რა ბევრი იტანჯეთ თქვენ, პეტერბურგის პროლეტარებო, უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში, თუ როგორ ძლიერ შიმშილობდით თქვენ, თუ რა ბევრი საუკეთესო თქვენი შვილები დაიღუპენ ფრონტზე, იცავდენ რა კომუნიზმის დიად საქმეს. მთელ მსოფლიოს მუშებს განსაკუთრებით უყვარხართ თქვენ იმისთვის, რომ პიტერის და მთელი საბჭოთა რესპუბლიკის უდიდესი საფრთხის წუთში იქვენ არასდეს არ ეძლეოდით რყევას და იცავდით. სისხლში შეღებილ წითელ დროშას პეტერბურგის პროლეტარის ლომის სილიერით, შეუპოვარ სიმამაცით და შეურყეკელობით.

კომუნისტური ინტერნაციონალი გეუბნება თქვენ: პეტერბურგის კომუნა ღირსეულათ განაგრძობს პარიჟის კომუნის საქმეს, გაირბის უკანასკნელის სისუსტეს და შეცდომებს და მიყავს პროლეტარული ბატალიონები გამარჯვებისაკენ.

კომუნისტური ინტერნაციონალი დარწმუნებულია, რომ წითელ პეტერბურგის მუშები შემდეგშიაც დარჩებიან საერთაშორისო შრომის არმიის საუკეთესო რაზმათ.

გაუმარჯოს სახელოვან პეტერბურგის პროლეტარიატს!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!"

ზინოვიევი: კონგრესს სურს მიესალმოს რუსეთის რესპუბლიკის წითელ არმიას. სიტყვა ეძლევა ამხ. სერატის, იტალიის მუშების წარმომადგენელს.

**ამხ. სერატის სიტყვა—მისალმება.**

იტალიის სოციალისტური პარტიის სახელით, რომელიც ემხრობა კომუნისტურ ინტერნაციონალს, მივესალმები რუსეთის სახელოვან წითელ არმიას, რომელიც დამცველია მსოფლიო პროლეტარიატის დიადი იდეალების.

**იტალიის სოციალ გამცემლები.**

როდესაც იფეთქა მსოფლიო ომმა, იტალიის მუშათა კლასის გამცემლები აგიტაციას წეედენ და უნდოდათ დაერწმუნებია მუშათა კლასი, რომ ის გადასულიყო ბურჟუაზიის მხარეზე. ისინი მაშინ ავრცელებდენ თეორიას იმის შესახებ, რომ როდესაც მუშათა კლასს რკინა ექნება ხელში, როდესაც პროლეტარიატს ვინტოვკები ექნება, მაშინ ის შესძლებს დაიპყროს თავისთვის ზავი და მოიპოვოს ის, რისთვის ის იბრძვის. მაგრამ იტალიის სოციალისტური პარტია გამოეყო ამ სოციალ-გამცემლებს. ის ამბობდა, რომ ვინტოვკებითაც ხელში და უვინტოვკოთაც იბრძოლებს ის მუშათა კლასის სასარგებლოთ ბურჟუაზიის წინაალმდეგ.

**წითელი არმია იბრძვის და კიდევაც იმარჯვებს.**

და ეს გამოცდილებით დაამტკიცა დიადმა წითელმა არმიამ. მან ჩასწერა ისტორიაში ოქროს ასოებით, რომ რკინაც და ვინტოვკებიც არის იარაღები მხოლოთ მაშინ, როდესაც მუშათა კლასმა იცის მათი ხმარა, რომ ყველა ეს მოცემულია მხოლოდ იმისთვის, რომ იბრძოლოს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის წინაალმდეგ და დაიპყროს პროლეტარიატის დიადი იდეა. ის სახელოვანი დიადი არმია, რომელიც იბრძვის და კიდევაც იბრძოლებს სამხრეთის ფრონტზედაც ვრანგელის წინაალმდეგ, დასავლეთისაზედაც—პოლონელების წინაალმდეგ, ეს წითელი არმია არ არის განმარტოვებული:

**წითელი არმია და საერთაშორისო პროლეტარიატი.**

მასთან ერთათ იბრძვიან ინგლისის მუშები, იტალიელი მეზღვაურეებიც და გერმანელი მატროსებიც კილში. და ყოველგან, სადაც კი ცხოვრობენ პროლეტარები, ისინი გაფიცვებით და სხვა საშუალებებით ხელს უშლიან იმას, რომ სასიკვდილო იარაღი არ იქნეს გაგზავნილი პოლონეთის ფრონტზე რუსეთის მუშების წინაალმდეგ. ყოველგან, სადაც კი ისინი თავის სისხლის-მღვრელი ბრძოლით ამტკიცებენ, რომ არ სურთ ემსახურონ ბურჟუაზიის ინტერესებს, იქ ყოველგან არიან დიადი პროლეტარულ წითელი არმიის დამცველები და მომხრეები. დეე, მოახლოვდეს ის დღე, როდესაც წითელი პროლეტარული არმია შემდგარი იქნება არა მარტო რუსი პროლეტარებისაგან, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარებისაგან, როდესაც ყველა მშრომელნი სოციალიზმის დიადი იდეალის შეგნებით გაერთიანებულნი, წარმოადგენენ ერთ დიად უძლეველ არმიას, რომელიც ერთხელ და სამუდამოთ დაამარცხებს კაპიტალიზმს და ბოლოს მოუღებს ყველა მის ნაშთებს, როდესაც მსოფლიოს პროლეტარები და სახელოვანი წითელი არმიელები შესძლებენ საბოლოოთ განთავისუფლდენ საზიზღარ ომისაგან და შესძლებენ არა მარტო ზარბაზნებით, არამედ მშვიდობიან შრომისაკენ დაბრუნებით, გაანთავისუფლონ მთელი მსოფლიო იმისგან, რაც ყოველთვის სჩაგრავდა მუშათა კლასს. და ამ დიადი იდეისთვის, და დახმარების დამოუკიდებლად, რომელიც უკვე აღმოუჩინა მსოფლიო პროლეტარიატს წითელმა არმიამ, ყველა პარტიების სახელით, რომლებიც წარმოდგენილი არიან კომუნისტურ ინტერნაციონალში წინადადებას გაძლევთ, მივიღოთ მისალმება რ. ს. ფ. ს. რ. წითელი არმიის და წითელი ფლოტის მიმართ.

**წითელ არმიას და წითელ ფლოტს.**

„ძმებო, კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-2 მსოფლიო კონგრესი მხურვალე სალამს უძღვნის მთელ წითელ არმიას, მთელ წითელ ფლოტს, თვითეულ წითელ სამხედრო ნაწილს, თვითეულ წითელ არმიელს!

თქვენ წითელ არმიელებს და წითელ მეზღვაურებს, ერთად და ცალ ცალკე, განსაკუთრებით ამხ. ამხ. ფრონტოვიკებს

მთელი მსოფლიოს მშრომელინი სულგანაბულნი, სიყვარულით ადევნებენ თვალყურს თქვენ ბრძოლას კაპიტალისტების

# ევროპიელ-ამერიკელი და რუსი მუშა.

III.

ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილის დაკავება, ინტერნაციონალის უმთავრესი თეორეტიკოსის და მარქსიზმის მკვლევარის როლი ხვდა კ. კაუცკის. ის შეიქნა უდიდესი ავტორიტეტი საერთაშორისო სოციალიზმის. როგორც გრამაფონის მგრძნობიარე ფირფიტა, ის სისწორით აღბეჭდავდა ხოლმე თავის შრომაში ყოველ ახალ მოვლენას მსოფლიოს მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლაში, მარქსიზმის წვეტიანი ნესტარით, დიალექტიურ მატერიალიზმის მეთოდით მიუდგებოდა ცხოვრების ზედაპირზე გამოჩენილ მოვლენებს და ოსტატურათ გადმოშლიდა მათ გულს, მათში ჩამარხულ ისტორიულ აზრს.

ამ ჟამათ ჩვენთვის საინტერესო საკითხსაც კაუცკი შეხებია არა ერთ-ან-ორ ხელ თავის გამოკვლევებში. გავეცნოთ რამოდენიმეთ მაინც მის შეხედულებას ამ საკითხზეყველა მის ნაწერებს, შრომას ვერ ამოვწურავთ, მოვიყვანთ მხოლოდ რემდენიმეს.

1902 წ., როცა ევროპაში გამოჩნდა უკვე მოახლოვებულ იმპერიალისტურ ომის და მისი აუცილებელი თანამგზავრის—სოციალისტურ რევოლიუციის პირველი წინამორბედი ნიშნები, კაუცკიმ გამოაქვეყნა თავისი შრომა „სოციალური რევოლიუცია". მარქსიზმის რევიზიონისტების და ოპორტუნისტების საწინააღმდეგოთ ის ამბობს სხვათა შორის: რევოლიუცია წინ მოაბიჯებს ჩვენსკენ, გვიახლოვდება და „შეუძლებელია უფრო მეტი ბოროტების მიყენება პროლეტარიატისათვის, ვიდრე მისდამი მიმართვა და რჩევა იარაღი აიყაროს, რათა დახმარება გაუწიოს ბურჟუაზიას, რომელსაც ვითომ მის სურვილებს წინ ეგებება. ახლანდელ ვითარებაში ასეთი რჩევა მოასწავებს— არც მეტი, არც ნაკლები—ხელფეხ გაბაწრულ პროლეტარიატის ჩაბარებას ბურჟუაზიისათვის, მისი სულიერად და პოლიტიკურად დამორჩილებას ბურჟუაზიის გავლენისადმი, მის დაუძლურებას და დამცირებას, მოსპობას მისი უნარიანს იმ დიად ისტორიულ საქმის შესასრულებლად, რომელიც მის წინ დგას".

„და რომ ეს გაზვიადებული არ არის— განაგრძობს კაუცკი—ამის დამამტკიცებელია ინგლისის პროლეტარიატის ბედი. არსად პროლეტარიატი ისე მრავალრიცხვოვანი არ არის, არსად მისი ეკონომიური ორგანიზაციები ასე უმწვერვალესად განვითარებული არ არის, არსად ის არ სარგებლობს ასეთი ფართო პოლიტიკური თავისუფლებით, როგორც ინგლისში,—და იმავე დროს არსად პროლეტარიატი შეპყრობილი არ არის ასეთი პოლიტიკური უძლურებით. ინგლისის პროლეტარიატმა არა მარტო დაკარგა სავსებით დამოუკიდებლობა უმაღლეს პოლიტიკის სფეროში, მას ახლა აღარ შეუძლია დაიცვას თვით აზლობელი თავისი ინტერესები". კაუცკი იმოწმებს ტრედუნიონიზმის თეორეტიკოსებს, ცოლ-ქმარ უებბ-ს, რომლებს არავინ არ დასწამებს რაიმე კავშირს რევოლიუციონერობასთანო, და განაგრძობს: „თვით უკანასკნელი ხანის ყოვლად უნამუსო თავდასხმებმაც კი, რომლითაც დაატყდენ ინგლისის პროლეტარიატს მისი მტრები, ვერ შესძლეს მისი შენჯღრევა. ის ხმაგაკმენდილია, როცა ძალადობით ანგრევენ მის ტრედუნიონებს, როცა უძვირებენ პურს. როგორც პოლიტიკური ფაქტორი, ინგლისის მუშები უფრო დაბლა დგანან, ვინემ მუშები ეკონომიურად ყველა ევროპის სახელმწიფოებში უფრო ჩამორჩენილი რუსეთის. ცხოველი რევოლიუციონური შეგნებაო— აი რა აძლევს ამ უკანასკნელთ უდიდეს პრაქტიკულ ძალას; რევოლიუციის უარყოფა (отречение от революции), მხოლოდ წუთიერი ინტერესების ცნობა, ე. წ. „რეალური პოლიტიკა",—აი რა არის პირველთ ნულათ ნამდვილ პოლიტიკაში. მარა პოლიტიკური ძლიერების დაკარგვასთან ერთად ამ „რეალურ პოლიტიკას" თან მოაქვს მორალური და ინტელექტუალური დეგრადაცია (სულ უფრო და უფრო ძირს დაშვება, დაცემა). *)

შემდეგ კაუცკი ამბობს: „ამ შემთხვევაშიც ინგლისია მაჩვენებელი იმის, თუ რა შედეგს აღწევს ის მუშათა კლასი, რომელიც ხელს იღებს რევოლიუციაზე (отрекается) და მხოლოდ „რეალურ პოლიტიკას" მისდევს, რომელიც აფუჩეჩებს თავის იდეალებს და უკუაგდებს ბრძოლის ყოველგვარ მიზანს, რომელიც გინეებით და შილინგებით (ინგლისის ფულის ნიშნებია. ნ. გ.) არ გამოიხატება. თვით ბურჟუაზიის წარმომადგენელთა პირიდან ისმის ჩივილი, რომ მორალური და სულიერი დაცემა დაეპატრონა მაღალ წრეებს ინგლისის მუშათა კლასისას, რომლებიც ამ მხრივ ბურჟუაზიის ბედს განიცდიან. ეს მუშები მართალი რო ითქვას, ახლა წარმოადგენენ მხოლოდ წვრილ ბურჟუებს, რომლებიც დანარჩენ ბურჟუებისგან განირჩევიან მხოლო ცოტა მეტი უკულტურობით, რომელთა უმაღლესი იდეალი იმაში მდგომარეობს, რომ მაიმუნივით მიბაძონ თავიანთ ბატონებს, გამოიჩინონ მათგან პატიოსნება წარბაისლობა (респектабельность), მათი თაყვანისცემა სიმდიდრის წინაშე, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეთ მათ ისეთი სამარცხვინო (пошлое) დროს ტარება. მუშათა კლასის განთავისუფლება მათ სულელურ ოცნებათ მიაჩნიათ; ხოლო ბურთის თამაში კი, ბოქსი, დოღი და დანიძლავება ყველაფერს ურჩევნიათ ამ ქვეყანაზე, ამას ანდომებენ მთელ თავისუფალ დროს, ყველა სულიერ ძალებს, მთელს მატერიალურ საშუალებებს. სულ ამაოდ ცდილობენ მორალური ქადაგებით ჩაუნერგონ ინგლისის მუშებს უფრო მაღალი შეგნება ცხოვრების და აღუძრან მათ ინტერესი უფრო კეთილშობილურ მისწრაფებისადმი. პროლეტარიატის ეთიკა გამომდინარეობს მისი რევოლიუციური ლტოლვისაგან, ისაა მისი ძლიერების წყარო, ისაა მისი გამაკეთილშობილებელი".

აი როგორ ახასიათებდა კაუცკი ინგლისის მუშებს, აი რა ფერადებით ხატავდა ის ანგლისს—ამ „ტრედუნიონიზმის ელდორადოს" (ედემს, სამოთხეს), და ადარებდა „აზიელ" რუს მუშებს. მკითხველმა უკვე დაინახა, რომელ საფეხურზე მოათავსა კაუცკიმ „უაღრესად ევროპიელი" ინგლისის მუშა ერთი მხრით, და რუსეთის მუშა მეორე მხრით.

კაუცკი მერმინდელ დიდ სტატიაში („კლასობრივი ბრძოლა და ეთიკა") ეხება იმავე საკითხს და სხვათა შორის სწერს: „ინგლისის ბურჟუაზია უკვე ათეულ წლების განმავლობაში აწარმოებს პრაქტიკაში მუშათა მოსყიდვის და გარყვნის სისტემას. ჩვენში (ე. ი. გერმანიაში. ნ. გ.) მუშების რწმუნებულებს სდევნიან და ციხეებში აჯენენ. ინგლისის ბურჟუაზია ასე სულელი არ არის: ის ქათინაურებს უძღვნის მუშებს, ლორდები და პრინცები მეგობრულად უტყაპუნებენ მათ მხრებზე ხელს, შემდეგ აძლევენ ადგილებს გაზეთების ახლოს, სახელმწიფო სამსახურში და სხ., და ამ გზით უფრო უკეთესად ადუმებენ მათ ბაგეს, ვიდრე ამას ციხეში თუნდა ხანგრძლივი ჩაგდება მოიმოქმედებდა". ამიტომაცო—განაგრძობს კაუცკი—ყველა ქვეყნების ოპორტიუნისტების სათაყვანებელი „ინგილისელი სამაგალითო ბუთხუზა ბიჭი" (ე. ი. ინგლისის მუშა) არა თუ გაურბის სოციალიზმს, ლიბერალების წრეში დარჩენასაც არ კმარობს და კონსერვატორების ბანაკში გადარბის, და ასე რეაქციის ბურჯად იქცევაო. „ინგლისის მუშა, რამდენადაც ის ყრუა სოციალიზმისადმი, უგუნური ენტუზიაზმით იღებს მონაწილეობას ძარცვა-გლეჯის და ძალადობის მსოფლიო პოლიტიკაში". ცოტა ქვევით: „ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობამ შექმნა მუშათა არისტოკრატია, დანარჩენი მრავალრიცხვოვან პროლეტარიატის მასსა კი მიატოვა იმ სიღატაკეში, რომელშიაც ის ჩავარდა ამ საუკუნის პირველ ნახევარში...". „პროლეტარის მორალურად დამამცირებელი ტენდენციები ინგლისში უფრო ძლიერად არის განვითარებული, ვიდრე სადმე სხვა ქვეყანაში, შეერთებულ შტატების გამოკლებით", კლასობრივმა შრომამ აქ დამახინჯებული ფორმა მიიღოო. (იხ. კრებული კაუცკის სტატიების: „Очередн. проблемы междунар. соціализма", გვერ. 112—3, 116—7).

ბურების დასამონავებლად ინგლისის მიერ დაწყებულ ომს კაუცკმ უძღვნა წერილი, სადაც ის გვითვალისწინებს იმპერიალიზმის გამრყვნელ ინგლისის მუშებზე, რომლებსაც სოციალიზმი კი არა, გაბატონებული კლესების დაპყრობითი საგარეო პოლიტიკა აინტერესებთ, რომლისგანაც ისინი გამოელიან მსუქან ლუკმას.

„ახლანდელი სულიერი განწყობილება ინგლისის—სწერს კაუცკი,—გვიჩვენებს, თუ რა ძლიერათ ჩაუთრევია იქ იმპერიალიზმს „მუშებიც." იქაური მუშები აღტაცებით მხარს უჭერენ აშკარა დაპყრობითს, კაპიტალისტების ინტერესებისათვის დაწყებულ ომსო. არსად პროლეტარიატი ასე ძლიერი არ არის, არსად მას ასეთი შესაძლებლობა არ აქვს დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების, და არსადაც ის ისე დამოკიდებული არ არის ბურჟუაზიულ პოლიტიკაზე, როგორც ინგლისში!".

„კაპიტალისთან კავშირში ინგლისის მუშები თავს გრძნობენ პრივილეგიურ კლასათ დაპყრობილ ქვეყნების მოსახლეობის მიმართ". დაბოლოს, კაუცკი ბრიტანეთის დემოკრატიას ადარებს ათინას დემოკრატიას პელოპონესის ომების

*) ციტატები მოგვყავს პარამონოვის გამოცემიდან, გვ. 90—1. არის სხვა გამოცემაც, ლენინის რედაქტორობით: გვერდი 80—1.

და მემამულეების, მეფის გენერლების და იმპერიალისტების წინააღმდეგ. მთელ მსოფლიოს მუშები თქვენთან ერთად განიცდიდენ თქვენს დამცირებებს და თქვენთან ერთად დღესასწაულობენ თქვენს გამარჯვებებს. მთელ მსოფლიოს მშრომელი ხალხი აღფრთოვანებით ადევნებდა თვალყურს იმას, თუ როგორი სიმტკიცით გაიმარჯვეთ თქვენ კოლჩაკზე დენიკინზე, იუდენიჩზე, მილერზე, დაამსხვრიეთ საფრანგეთის და ინგლისის კაპიტალისტების ხრიკები.

მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 მსოფლიო კონგრესი მხურვალეთ მოგესალმებათ თქვენ და წითელ არმიას რომელიც ამჟამათ დასავლეთის და სამხრეთ დასავლეთის ფრონტებზე იბრძვის თეთრი პოლონელ პანების წინააღმდეგ რომლებიც გამოგზავნა ანტანტამ მუშურ-გლეხური რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ჩასახშობათ.

ძმე ო წითელ-არმიელებო, იცოდეთ: თქვენი ომი პოლონელ პანების წინააღმდეგ, ყველაზე სამართლიანი ომია, რომელიც კი იცოდა ისტორიამ როდესმე. თქვენ ომობთ არა მარტო საბჭოთა რუსეთის ინტერესებისათვის, არამედ მთელი მშრომელ კაცობრიობის ინტერესებისათვის, კომუნისტურ ინტერნაციონალისათვის. მშრომელი მასები ვერ მოსპობენ დაქირავებულ მონობას, ვერ გადიგდებ მდიდრების უღელს, თუ არ გამოვიდენ იარაღით ხელში მათ წინააღმდეგ. თქვენ მიმართეთ პირველათ იარაღს უჩაგვრელების წინააღმდეგ. თქვენ შექმენით პირველათ მტკიცე ძლიერი მუშურ-გლეხური წითელი არმია. თქვენ უჩვენეთ პირველად გზა მთელი მსოფლიოს დაჩაგრულებს და გაყვლეფილებს.

ამისათვისაც გადიდებენ თქვენ ყველა ქვეყნის პროლეტარები. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა იცის, რომ თქვენი გამარჯვებები მუშების და გლეხების მტრებზე ნაყიდია აურაცხელი მსხვერპლებით და გაჭირვებებით.

ჩვენ ვიცით, რომ თქვენ არ დაამარცხებიებთ მტერს თავს. ჩვენ ვიცით, თუ რა ბევრმა წითელი არმიის საუკეთესო შვილებმა სიცოცხლე შესწირეს ჩვენს საქმეს. თქვენი გმირობა არასოდეს არ დაივიწყება ისტორიაში. იცოდეთ ამხანაგებო: წითელი არმია ამ ჟამათ მსოფლიო ისტორიის ერთი უმთავრესი ძალაა.

იცოდეთ: თქვენ უკვე მარტო არა ხართ. მთელი მსოფლიოს მშრომელნი თქვენს მხარეზეა. ახლოა ის დრო, როდესაც მოეწყობა საერთაშორისო წითელი არმია.

გაუმარჯოს დიად უძლეველ წითელ არმიას!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალის არმიას!"

**ამხ. ზინოვიევი:** კონგრესს აზრათ აქვს მიმართოს სპეციალური მოწოდებით მსოფლიოს ყველა მუშებს ჩვენი ერთი რაზმის მდგომარეობის გამო, რომელიც ახლა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და იწვევს მეტს მეტად დიდ მსხვერპლს, მე ვამბობ ჰუნგრეთის პროლეტარიატზე. სიტყვა ეკუთვნის ავტორის კომუნისტების წარმომადგენელს ამხ. შეტეინგარდტს.

(შემდეგი იქნება)

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

### ალბანეთში.

**ათინა**, 15 აგვისტოს. „პროია" იუწყება, რომ ვალონა ყუმბარების დაშენის შემდეგ ხელახლა დაიკავეს იტალიელებმა.

### ავღანისტანის საზღვარზე.

**ტრაპეზონი**, 20 აგვისტო. ინგლისის მთავრობამ მოითხოვა ავღანის ჯარების მტრული მოქმედებას შეაჩერა ინდოეთის საზღვართან და ინდოეთის „პოგრომშჩიკების" გაძევება, რომლებიც თავმოყრილი არიან ქაბულში, მაგრამ ვერავითარ შედეგებს ვერ მიაღწია. ინდოეთის საზღვართან წარმოებს სისხლის მღვრელი პარტიზანულ ომი ინდუსებსა და ინგლისის ჯარებს შორის.

### ანატოლიის დელეგატები.

**ბაქო**, 27 აგვისტო. აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე ჩამოვიდენ დელეგატები ოსმალეთიდან, რომლებიც მოდიოდენ შემდეგ მარშრუტით: ტრაპიზონი-ტუაპსე-არმავირ-პეტროვსკი. მშვიდობიანათ იმოგზაურეს შავ ზღვაში მხოლოდ იმიტომ, რომ ზღვაზე ქარიშხალი არ იყო, ვინაიდან ინგლისელებმა წინდაწინ იცოდენ დელეგატები გამომგზავრება და დარაჯობდენ ნაპირებთან.

ანატოლიაში ამორჩეულია ყრილობაზე გამოსაგზავნათ ასზე მეტი კაცი, რომლებიდანაც ბაქოში ჩამოვიდა ჯერ-ჯერობით 43 კაცი. დელეგატების სიტყვით ოსმალეთის, რევოლიუც. არმიის მდგომარეობა, რომელიც შესდგება 600.000 მებრძოლებისაგან მეტად კარგია. თითქმის მთელი ანატოლია რევოლიუციონერების ხელშია. მათ მიერ კონსტანტინოპოლის, მიდამოების და სკუტარის დატოვება აიხსნება ინგლისის ფლოტის მოქმედებით. მაგრამ ამან კიდევ უფრო გაამრავლა მოხალისეები და გააძლიერა რევოლიუციონურ არმიის ენერგია. დელეგატები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ყრილობას აღმოსავლეთის განთავისუფლებისათვის.

### ლექცია დელეგატებისათვის.

**ბაქო**, 27 აგვისტო. მიწად მოქმედების სახალხო კომისარმა, ამხ. ოლამალი ოღლიმ წაიკითხა აღმოსავლეთის ხალთა ყრილობაზე ჩამოსულ დელეგატებისათვის ლექცია მიწის საკითხის შესახებ. ლექტორმა მიუთითა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის საკითხს საზოგადოების სოციალისტურ ნიადაგზე გარდასაქმნელათ.

### მისალმება აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობას

**ბაქო**, 27 აგვ. აუარებელ კონფერენციებზე, მიტინგებზე და კრებებზე გამოაქვთ მისასალმებელი რეზოლიუციები აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობისათვის.

ქალაქის პარტიულმა კონფერენციამ გამოიტანა ამის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია:

„ქალაქის პარტიული კონფერენცია სალამს უძღვნის აღმოსავლეთ ხალხთა პირველ ყრილობას, რომელსაც იწვევს მსოფლიო პროლეტარიატის სრულ უფლებიანი სამხედრო-რევოლიუციონური საბჭო, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი წითელ ბაქოში, აღმოსავლეთში რევოლიუციონურ მოძრაობის ცენტრში. კონფერენცია გამოსთქვამს რწმენას, რომ ახლო და შორეულ აღმოსავლეთის მშრომელი მასები, რომლებიც ჩაგმული არიან ამჟამათ საერთო მსოფლიო რევოლიუციონურ პროცესში, გამოსჭედენ მაგარ თეორეტიულ და პრაქტიკულ იარაღს და მჭიდრო კავშირს შეკრავენ დასავლეთის მოწინავე პროლეტარიატთან მთელ მსოფლიოში კაპიტალის დასამხობათ.

**მოსკოვი**, 15 აგვ. კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე მოხსენება გააკეთა ამხ. მარინგმა, რომელმაც დაასურათა რევოლიუციონური და ეკონომიური მდგომარეობა ჰოლანდიის ინდოეთის, ანუ კუნძული იავის.

„დაახლოებით ხუთი წელია, რაც ჰოლანდიის ინდოეთში სოციალისტურ პროპაგანდას ეწევიან. „შემოტანილმა" კაპიტალიზმი საშუალებას არ აძლევდა, რომ ადგილობრივ ბურჟუაზია შემქმნილიყო. სამაგიეროთ იქ დიდ სახელმწიფოების მტაცებლები მეტათ გამრავლდენ. სამაგიერო კაპიტალისტურმა წყობილებამ მეტად ღიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ღრმათ შეიჭრა ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთა გულში წვრილ მწარმოებელ ხელოსნების გასანადგურებლათ. ჰოლანდიის ინდოეთში 30 მილიონი მუსულმანი ითვლება ამათგან 24 მილიონამდე გლეხობას შეადგენს. პროლეტართა რიცხვი 3 მილიონს აღწევს. პირველი მასიური მოძრაობა, რომლმაც გაიტაცა მუშათა და გლეხთა ფართე წრეები დაიწყო 1912 წლიდან. ეს მოძრაობა გატარდა უცხოეთის კაპიტალიზმის საწინააღმდეგო ისლამის ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ. ახალი მოძრაობა

სულ სამი წელია, რაც დაიწყო ყველაზე უფრო რევლუციონურ ელემენტს რკინის გზელები შეადგენენ: 40,000-დან მათი რიცხვი 10,000 შეკავშირებულ წევრს უდრის. კუნძულ იავაზე მოქმედებენ რეფორმატული და რევოლიუციურ-სოციალისტური პარტიები, უკანასკნელი მათგანი მათგანი ამ ჟამათ კომუნისტურ პარტიათ სახელწოდებული. რეფორმატებს მხოლოთ ასიოდე წევრი ჰყავთ. ყველა ისინი „ახალშენელები"—ევროპიელები არიან. რევოლიუციონურ-სოციალისტურ პარტიაში კი ირიცხება 1,500—1,400 იაველი და ასი ევროპიელი.

### ქალთა კონფერენციაზე.

**ბაქო**, 20 აგვისტო. ამას წინათ ტაშკენტში მოსული ინდიელი რევოლიუციონერები, რომლებსაც განზრახვა ჰქონდათ ენახა მუსულმან ქალების რუსის ქალებთან ერთად მუშაობა, ქალების კრებაზე გამოცხადდენ.

როგორც კი დაინახეს, მუსულმან ქალებმა საჩქაროთ პირშალი ჩამოიფარეს. ერთმა ინდოელ რევოლიუციონერთაგანმა, ჭაღარა თმით შემკულმა ვრცელი სიტყვით მიმართა მუსულმან ქალთა კრებას „პირის ახვევის ჩვეულება, სთქვა მან, მუსულმანური სჯულის მრუდეთ გეგებამ გამოიწვია და მამაკაცებიც დღემდე მხარს უჭერენ ამ გაუგებრობას, რადგან ეს მათ ინტერესებს ემსახურება.

დროა ამ ძველ დახავსებულ ბარბაროსულ ზნე-ჩვეულებას შევებრძოლოთრუსის ქალმა უნდა გაუწოდოს მუსულმან ქალებს საშველათ ხელი, რომ ისინი გამოვიდენ როგორმე ამ მონოპიდან. არ შეიძლება, რა თქმა უნდა, ერთბაშათ მოვთხოვოთ მუსულმან ქალებს, რომ პირბადე აიხადონ. საჭიროა ამას ისინი თან და თან შეეჩვიენ მათი და მათი ქმრების კულტურულათ ამაღლების გზით. შორს აღარ არის ის დრო როცა ყველა ქალები განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა ხელი ხელჩაკიდებული ერთი გზით წავლენ.

### სამხედრო-ოპერატიული რადიოცნობა.

**მოსკოვი**, 98 აგვისტოს (რადიო).

**პოლონეთის ფრონტზე.**

ბრესტლიტოვსკზე მისავალ პუნქტებში ცხარე ბრძოლები გრძელდება.

**ლვოვის რაიონში** ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა ტყვეები წამოიყვანა და ხელთ იგდო 13 ტყვიისმფრქვეველი და ვინტოვკები.

**ყირიმის ფრონტზე** ხერსონის და ორეხოვის რაიონებში მედგარი ბრძოლები გრძელდება.

### ყუბანზე.

**ეკატერინოდარი**, 26 აგვ. ლიკვიდაცია ვრანგელის დესანტისა, რომელიც ახტარის რაიონში გადმოსხეს, ჩვენს სასარგებლოთ მიმდინარეობს. ჩვენმა ჯარებმა მოპირდაპირეს საუკეთესო ძალების,—შემომტევ ბრიგადის ნაწილების ფრონტი გაარღვიეს. დაიკავეს სად. ბრინკოვკაია და ახლა სად. კონევსკაიაზე იერიშით მიდიან. უკანასკნელი ცნობით, დესანტი გარს შემორტყმულია ჩვენი ჯარებისაგან და მოწინააღმდეგეთა სრულ შემუსვრას მოელიან ამ დღეებში.

### ინგლისელების ინტრიგები ბუხარაში.

**პეტროვსკი**, 18 აგვ. სამარყანდის ცნობების თანახმათ, ბუხარაში მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობა მუდამ გაიძახის რომ იგი მეზობელ სახელმწიფოებთან კარგ განწყობილებაშია, მთავრობა სომარ მზადებაშია. ამ მიზნისათვის ბუხარის მთავრობამ გაატარა ერთი-მეორეზე ოთხი მობილიზაცია, სასწრაფოთ იძენენ იარაღს და სწარმოებს ფართო აგიტაცია სამღვთო ომის ინგლისელებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ. ბუხარის ჯარები თანდათან თავს იყრიან რუსეთის საზღვრებთან. ამაგრებენ ძველებს და აშენებენ ახალ სიმაგრეებს. ბუხარის ყველა მეორმარ ნაწილებში ინსტრუქტორებათ არიან რუს თეთრგვარდიელი აფიცრები, რომლებმაც თავი შეაფარეს ბუხარას. ძველი ბუხარარა და კაგანს შვა აშენებენ საციხოვნო სიმაგრის ტიპის კედელის ფორტებით, რომლებიც მიმართული არიან რუსეთის საზღვრისაკენ.

**ბათუმი**, 23 აგვისტო. დაპატიმრებული არიან ბევრი ბალშევიკები სევასტოპოლში, სიმფეროპოლში და კერჩში. ყველა დაპატიმრებულნი ბალშევიკებს სამხედრო-საველო სასამართლოში აძლევენ. იალტაში დაპატიმრებულია 50 კაცი ახალგაზრდა კომუნისტი, რომლებსაც უნახეს პროკლამაციები.

ფეოდოსიაში დააპატიმრეს ხმელნიცკი (ეკატერინოსლავიდან), გეინანი, ორი ძმები ბელიაევები, რომლებსაც ქონდათ კონსპირატიული ბინა, რომ დაჭერილები გაენთავისუფლებით. წამებიდან ექიმმა ქალმშიფრა რაზუმოვამ განუცხადა სამართალს, რომ ის კომუნისტია როდესაც ის საპყრობილეში ჩასვეს, მან ყველა დაპატიმრებულთ გადაცა ოპიუმი. მაგრამ მოიწამლა მხოლოდ მშელნიცკი. დანარჩენები, მათ შორის რაზუმოვაც დახვრიტეს ფეოდოსიაში სახალხოთ ჩამოახრჩვეს ოსმალეთის კ. პ. და აგრეთვე კომუნისტური ახალგაზრდობის კომიტეტის წევრები, მათ მიუმატეს 5 კაცი მათ შორის ერთი ცეპენიუკი „დაუსხლებლობისათვის" სიმფერაპოლში საჯაროთ ჩამოახრჩვეს ახალგაზრდა კომუნისტების წევრები და ასეთი შემთხვევა სამ გზის განმეორდა. 7 კაცი ებრაელი ჩამოახრჩვეს სრულიათ შიშველნი.

### განჯის ამბების შედეგები

**ბაქო**, 10 აგვისტო. გლეხების უკანასკნელმა ყრილობებმა ნუხაში, შუშაში და აგდამში გამოიწვიეს გლეხთა მასების ჩამოყალიბება, მიყრუებულ ადგილებში მიმალულ ბეგების, ხანების და აღალარების გაძევება და ზოგიერთ შემოხვევებში მათი მთავრობის ხელში გადაცემა, ამგვარათ განჯის ამბებმა ნაყოფიც მოიტანა—მშრომელი ხალხის განთავისუფლება თავის საუკუნო მჩაგვრელებისაგან.

# ახალი ამბები

— **კომუნისტების დევნა ბათუმში.** ამ დღეებში ბათუმში დაუკავებიათ 9 ასოთ-ამწყობი და რამდენიმე ლითონზე მომუშავე. მათ ასახლებენ საქ. საზღვრებიდან. დაუწყიათ „გაწმენდა" იმ პროფესიონალ. კავშირებისა, სადაც ხელახალი რეგისტრაციის და არჩევნების შემდეგ კომუნისტები გასულან გამგეობაში.

### საქართველოს მუშ. და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტზე თავდასხმა.

26 აგვისტოს, როცა საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ყრილობა დაიშალა, ცენტრალური კომიტეტი წამოვიდა თავის ბინაზე, (ახალ-ბებუთოვის ქ. № 11) რათა ყრილობის დელეგატებისათვის მიეცა დარიგებები.

დღის 4 საათზე და 30 წუთზე კომიტეტის ბინაზე მოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორი ბ ნი მგალობლიშვილი განსაკუთრებული რაზმის ორი აგენტის (საპატიო ყარაულით) თანხლებით.

რაზმის თანამშრომელმა ბ-ნმა ქარცივაძემ განაცხადა, რომ ვითომ ჩვენ აქ დაშლილი ყრილობა გაგვეხსნას არალეგალურად და ყველა იქ მყოფნი დატუსაღებულად გამოგვაცხადა.

ხოლო პირმოთნე იურისტმა ბ-ნ მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ ის გამოგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროდან ყრილობაზე დასასწრებლად განსაკუთრებული რზმის აგენტების თანხლებით!?

ახირებული ხალხია! თითქო ჩვენ ყრილობა იმისთვის არ დაგვეშალის, რომ სამინისტროს ბრძანებით მასზე დასწრებას მოითხოვდნენ „საგანგებო რაზმელები" და განათლებული იურისტის დასწრება თითქო ხელს შეუშლიდა „რაზმელებს", მათი ბნელი საქმის სისრულეში მოყვანას.

თანაც ბ ნმა ქარცივაძემ ბრაზმორეულად და მუქარით მიმართა უკვე გარეკილ ყრილობის თავმჯდომარეს ამხ. ბორის ძნელაძეს და უთხრა: „გუშინ მე თქვენ შეურაცყოფა (!) მომაყენეთ და თქვენთან საქმე მაქვს მაგრამ კერძოთ სხვა ადგილზე გაგისწორდებითო."

როგორც ეტყობა ბ-ნი ქარცივაძე ძალიან ვაუწიწმარტებია იმ გარემოებას, რომ ყრილობამ გადასწყვიტა საქმიან მუშაობაში არ უნდა ჩაირიოს არა დელეგატები და საზეიმო გახსნის შემდეგ ასეთებს უნდა დაეტოვებიათ ყრილობის დარბაზი, ეს რასაკვირველია სავალდებულო იყო ბ-ნ ქარცივაძესათვისაც, რომელიც დაშვებული იყო გახსნაზე, როგორც მოქალაქე და კერძო პიროვნება. ყრილოლობის თავმჯდომარემ თავის დროზე აცნობა ბ-ნ ვიცე დირექტორს ყრილობის გადაწყვეტილება, რომ განსაკუთრებული რაზმის აგენტებთან ერთად ერთ ჭერქვეშ მისი მუშაობა შეუძლებელია და თავის თავს დაშლილათ აცხადებს.

ხოლო მიუხედავად იმისა, რომ ყრილობა დაიშალა და ზოგი დელეგატი თავ-თავიანთ ადგილებზე წავიდა, ჩვენ მაინც შევსძელით განვაგრძოთ მუშაობა იმ პირობით თუ იქ არ იქნება განსაკუთრებული რაზმის წარმომადგენელი და სამაგიეროდ იქნება სამინისტროდან გამოგზავნილი რომელიმე იურიდიული პიროვნება.

ბ-ნმა ვიცე-დირექტორმა განაცხადა, რომ მას არა აქვს უფლება გადასწყვიტოს ეს საკითხი და წაბრძანდა შინაგან საქმეთა მინისტრთან მოსალაპარაკებლად ხოლო ჩვენ დაგვიყენა ყარაული და ჩაგვკეტა ოთახში.

როგორც მოსალოდნელი იყო უარყოფითი პასუხი მივიღეთ.

ამ კომედიის გათამაშება დასჭირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს იმისთვის, რომ მოლაპარაკების ფარდის ქვეშ მოესაქმებიათ ცენტრალურ კომიტეტზე და ყრილობის თავმჯდომარეზე თავხედური თავდასხმა.

უარყოფითი პასუხის მიღებისთანავე ბ ნმა ქარცივაძემ განუცხადა ამხ. ბორის ძნელაძეს, რომ მისი „ნახვა" სურს განსაკუთრებული რაზმის უფროსს.

ამხ. ძნელაძემ იცოდა რა, თუ რას ნიშნავდა ეს, მოსთხოვა სათანადო ორდერი; რაზედაც ბ-ნმა ქარცივაძემ უპასუხა: „თუ ნებით არ წამოხვალთ, ძალით იქნებით წაყვანილიო".

ამის შემდეგ ამხ. ძნელაძე იძულებული იყო დამორჩილებოდა.

როდესაც ბ-ნ სამინისტროს წარმომადგენლის ყურადღება მიიქცია ასეთმა საზიზღრობამ, მოლაპარაკების დროს დაჭერა მანაც იგრძნო ასეთი მოვლენის დაუშვებლობა და ბარბაროსობა და ის ჩუმად გაიპარა.

მოლაპარაკების დროს ერთი მხრის წარმომადგენლის მიერ მეორე მხრის წარმომადგენლის დატუსაღება მხოლოდ იმიტომ, რომ სამართლიანი პასუხის გაცემა არ შეგვეძლოთ—ეს გაუგონარი და საზიზღარია, რომლის მზგავსს ბარბაროსებში თუ ჰქონდა ადგილი.

კარგათ ვიცით, ბ ნო მგალობლიშვილო, რომ დატუსაღება წინასწარ იყო გადაწყვეტილი და თქვენ მობრძანდით იმიტომ, რომ თქვენი განათლებული იურიდიული პიროვნების ბეჭედი დაგვესვათ ამ საძაგელ მოვლენისათვის.

ეს არის მმართველი პარტიის მორიგი დანაშაულობა და იერიში მუშათა

---

დროისას და ბევრ რამეში მგზავსებას ხედავს მათ შორის. იქაც დაბალი კლასები დიდ ძალას წარმოადგენენ სახელმწიფოში, მარა სახელმწიფოს მართავდა მონა არისტოკრატია. მეზობელ ქვეყნების დაპყრობა და გაცარცვა, ვაჭრობა და ნასნობა ურიცხვ სიმდიდრეს ანიჭებდა არისტოკრატიას, რომელიც ცოტაოდენს უწილადებდა დემოკრარიას და მით იმორჩილებდა. მარა ბოლოს და ბოლოს გაცარცულები და მოშურე წილ მოკლებულნი შეერთდენ ათინას წინააღმდეგ და წააგლიჯეს ყველა კალონიებიო. (იხ. იქვე, გვ. 306—8 და 310—1).

ყველაფერი გამართლდა კაუცკის ამ განჭვრეტაში, მხოლოდ კალონიების წაგლეჯამ ინგლისისაგან ვერ შესძლო მოშურნე გერმანიის მტაცებლურმა კოალიციამ. კალონიების მოწყვეტა მცარცველ ინგლისისაგან და მათი ნამდვილ პატრონისათვის დაბრუნება მსოფლიო რევოლიუციის ერთ-ერთი მთავარი უახლოესი მიზანი შეიქნა... და რაც უფრო ადრე მოხდება ასეთი მოწყვეტა, და რამდენათაც მოხდება ის, ე. ი. რამდენადაც ხიადაგი გამოეცლება ინგლისის პრივილეგიურ მდგომარეობას კალონიებში და მსოფლიო ბაზარზე, მით უფრო სწრაფი ნაბიჯით წავა წინ ინგლისის პროლეტარიატის სოციალისტური გამოღვიძება და კაპიტალიზმსაც საფლავი გაეთხრება. კომუნისტური ინტერნაციონალის „აღმოსავლეთის პოლიტიკაც" სწორედ ამ წერტილში სცემს.

ნ. ვექტორი.

---

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო, გაავრცელეთ თქვენი ინტერესების დამცველი გაზ. „ახ. კომუნისტი".

და გლეხთა წინააღმდეგ; მაგრამ ამით თქვენ ვერ შეაჩერებთ კომუნისტურ რევოლიუციის ძლევა მოსილ მსვლელობას და სხვა დანაშაულებებთან ერთად 26 აგვისტოს ყრილობის გარეკის და მისი თავმჯდომარის დატუსაღებისათვის თქვენ პასუხს აგებთ გამარჯვებული მშრომელი მასების სასამართლოს წინაშე.

**საქ. მუშ. და გლეხ. ახალგ. კომ. გაერთ. ცენტრალური კომიტეტი.**

# პარტიული ცხოვრება.

**ბანძის რაიონის (სენაკის მაზ.) კომუნისტური პარტიის კონფერენცია.**

22 აგვისტოს ამა წელს გაიხსნა ს. კ. პარ. ბანძის რაიონის კონფერენცია, თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ბ., მდივნათ ამხ. ა. დღიური წეს-რიგი იყო: 1) საერთაშორისო მდგომარეობა და კომუნისტური პარტია; 2) დატუსაღებული ამხანაგების შესახებ; 3) მუშათა და გლეხთა დელეგაციის საკითხი; 4) ორგანიზაციული საკითხი; 5) მეცადინეობა და პარტიის დეზერტირები და მიმდინარე კითხვები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. მან მოკლეთ და მკაფიოთ დაახასიათა დღევანდელი მომენტი და კომუნისტური პარტიის როლი მსოფლიო მშრომელი მასსის განთავისუფლების საქმეში, რის შესახებაც იქნა გამოტანილი შესაფერისი რეზოლიუცია. დატუსაღებული ამხანაგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლ., საიდანაც ირკვევა, რომ საქ. კომ. პ. და კერძოდ სენაკის მაზრის და ბანძის საარაიონო კომიტეტს არამც თუ ნაბიჯი, არამედ ფიქრადაც არ მოსვლია შეიარაღებული აჯანყების მოწყობა; ვინაიდან კ. პ. საქ. იყო ლეგალურად გამოცხადებული და ჩვენც თანახმად მუშურ-გლეხურ მთავრობასთან ხელშეკრულებისა ვაწარმოებდით მხოლოდ იდეურ მუშაობას, მაგრამ ჩვენ ეს მუშაობაც ახალი დაწყებული გვქონდა და ხალხის თანაგრძნობა კი სულ პარტიისაკენ იყო.

აი სწორედ ამ დროს 2 ივლისს ამა წელს კომიტეტის შემადგენლობა დატუსაღებული იქნა: დამცირება, ლანძღვაგინება, ერთს კომიტ. წევრს მათრახით სცემეს, ერთის სიტყვით ქრისტესებური ისტორია განიცადეს. ამას შემდეგ განვლო დრომ და დემოკრატიული რესპუბლიკის ციხეები გაივსო კომუნისტებით, მათ ბრალი ედებათ ყველგან ერთი და იგივესათვის, რომელიც ყველასათვის ნათელია. დატუსაღებულ კომუნისტებს წილად ხვდათ შიმშილობა, გადასახლება, ადმინისტრატიულად ციხეში დალპობა, ერთი სიტყვით, ჯოჯოხეთური ტანჯვა. გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია. მესამე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ა., გამოირკვა, რომ მენშევიკებს გლეხების დაუკითხავათ აურჩევია „მუშათა დელეგაცია“ მუშურ-გლეხურ რუსეთში გასაგზავნათ. ამის შესახებ გამოტანილ იქმნა სათანადო რეზოლიუცია. მეოთხე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ.—ტ., საიდანაც სჩანს, რომ მკაცრი რეპრესიების გამო მუშაობა ნელის ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ ამ ბოლო დროს გამოცოცხლება ეტყობა და იქნა გამოტანილი რეზოლიუცია. მეხუთე საკითხის შესახეა მოხსენება გააკეთა ამხ.—ს., რის შემდეგ კრებამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია. პარტიული ორგანო გავრცელებული იქნას ფართო მშრომელ მასსაში. დაევალა პასუხისმგებელ კორესპონდენტებს მიაწოდონ რედაქციას მოკლე კორესპონდენციები პარტიულ და სოფლის ცხოვრების შესახებ.

ნ. პა—ნი.

---

**ბანძის რაიონის კომუნისტური პარტიის კონფერენციის რეზოლიუციები**

1. კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. პ. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და კომ. პარტ. სრულიად კმაყოფილი და აღფრთოვანებული მხურვალე სალამს უძღვნის მსოფლიო რევოლიუციის მებაირახტეს და უსურვებს მას გამარჯვებას მსოფლიო მტაცებლურ-იმპერიალისტურ მთავრობებზე. კონფერენცია მტკიცედ დარწმუნებულია, რომ პროლეტარულ რევოლიუცია საბოლოოთ გაიმარჯვებს. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას. გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა სოლიდარულ რესპუბლიკას“.

2. კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ლ. დატუსაღებული ამხანაგების შესახებ, წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს მოწოდებით და მანიფესტით. მიმართოს საერთაშორისო რევოლიუციონურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომ მიუხედავათ პარტიის ლეგალიზაციისა, საქ. კომ. პარტია სასტიკად იდევნება მენშევიკების მიერ: მიმართულია უსასტიკესი რეპრესიები- ციხე, შიმშილობა, ფიზიკური ტანჯვა-წვალება და სხვა ამგვარი, და იქნეს შესაფერი ზომები მიღებული პარტიის სრულ ლეგალიზაციისთვის, ვინაიდან ჩვენ არ გვინდა იარაღით ვისმეს მოვახვიოთ თავზე კომუნიზმი. ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ ლეგალიზაციას თანახმათ ხელშეკრულებისა. კომუნისტური სალამი დატუსაღებულ ამხანაგებს!

3. კონფერენცია იღებს რა მხედველობაში ამხ. ა. მოხსენებას „მუშათა დელეგაციის“ შესახებ, უცხადებს ენერგიულ პროტესტს მართველ პარტიას, რომ ჩვენ გლეხების 85 პროც. დაუკითხავად დაგვტოვა და გლეხურ-მუშურ ქვეყანაში გააგზავნა მარტო კავშირის მიერ არჩეული დელეგაცია, სადაც ერთი კომუნისტიც არ მოაქციეს. ამისთვის ჩვენ გლეხები მოვითხოვთ სასწრაფოდ გეიგზავნოს რუსეთში გლეხთა და მუშათა დელეგაცია და პირის-პირ შეხვდეს იქ ჩვენი ამხანაგების ჩვენს წარმომადგენლებს. ვსთხოვთ სიმართლით და ფაქტებით ხელში გააცნონ ჩვენს შიარეულ ამხანაგებს თუ რა ჯოჯოხეთურ პირობებში არიან საქართველოში კომუნისტური მუშურ-გლეხური პარტია.

4. ორგანიზაციული საკითხების შესახებ მიღებული იქნეს ზომები, რათა ყველგან, ყველა კუთხეში ორგანიზაცია-იაჩეიკა იქნეს მოწყობილი.

5. კონფერენციამ გაითვალისწინა-რა წარსული და მომავალი მოქმედების გეგმა დაადგინა: პარტიის წევრი, რომელიც არ დაესწრება კრებებს, მეცადინეობას და არ აასრულებს დავალებებს, არ დაემორჩილება პარტიის დისციპლინას, გამოირიცხოს პარტიიდან და ეცნობოს უმაღლეს დაწესებულებას. მათი გამორიცხვის შესახებ (საპატიო მიზეზები იქნება მხედველობაში მიღებული).

ფართედ გავრცელებულ იქნას პარტიული ორგანო. დაევალოს ამხანაგებს რიგ-რიგობით მოიტანონ გაზეთები—ლიტერატურა და სხვა...

6. კონფერენცია მიესალმება რა „ახ. კომუნისტს“ და მის ხელმძღვანელთ უსურვებს მათ ნაყოფიერ მუშაობას, ნარეკლით მოცული გზა გაცელოს და დააყენოს საქართველოს მშრომელი ხალხი სწორ გზაზე, რომელიც მიდის სოციალიზმისაკენ.

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ მასას და მის კომუნისტურ პარტიას.

**ბანძის რაიონ: კონფ. პრეზიდიუმი.**

---

**თბ. მესამე რიიონის ბიუროს სხდომა**

18 აგვ. 1920 წ. შესდგა მე-3 რაიონის ბიუროს სხდომა.

დღის წესრიგი იყო:

1. კანდიდატების დამტკიცების ფორმა.
2. ახალ წევრთა რეკომენდაცია.

პირველი საკითხის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

პირველად თიეული იაჩეიკა აირჩევს თავის კანდიდატებს და შესაფერ განმარტების შემდეგ თვითეულ ამხანაგის სიას ადგენს დასამტკიცებლად.

დასამტკიცებელ კანდიდატების გარჩევაში ისეთ იაჩეიკებში, სადაც დიდ უმრავლესობას კანდიდატები შეადგენენ, აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა მიუროს წევრებმა.

პარტიაში მიღებულ ახალ ამხანაგების რეკამენდიტორებს ევალებათ რაიონის მდივნის თანადასწრებით დაუდგეს თავდებათ მათ და საწევრო წიგნაკში შეიტანოს ეს.

მეორე კითხვის შესახებ დადგენილი იქმნა: იაჩეიკის წარმომადგენელს უფლება აქვს ეს კითხვა გადაიტანოს გასარჩევათ იაჩეიკაში და თუ რომელიმეზე აღმოჩნდება რაიმე საბუთი, გადასცეს ის პარტიულ სასამართლოს.

# მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა.

საზღვარ-გარედ

**თეთრი ტერორი ჩეხო-სლოვაკიაში.**

ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზიამ დაიწყო ჰუნგრეთის მიბაძვა, დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიტყობინებოდით, რომ ჩეხო-სლოვაკების ყაჩაღები, რომლებსაც სოციალ-ლაქიების დახმარებით თითქმის მთელი წელიწადია დატუსაღებული ჰყავთ ჩეხიის საუკეთესო კომუნისტები ამხ. მუნის მეთაურობით, მუშათა მასსების ზეგავლენით იძულებულნი გახდენ დაეწყოთ მათი გასამართლება. მარა, ვინაიდან მათ მიერ წამოყენებული საბრალდებულო მასალები საკმარისი არ აღმოჩნდა, გასამართლება შეაჩერეს, და დამსწრე საზოგადოებამ ჩვენს ამხანაგებს გაუმართა ნამდვილი ზეიმი და პატივისცეს მათ, როგორც სახალხო გმირებს. პარლამენტის გახსნისას ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოაცხადა საერთო პოლიტიკური ამნისტია და ამნაირათ ამხანაგები თავის სურვილის წინააღმდეგ,—როგორც სწერს ამხანაგი მუნი ღია წერილში ჩეხიის „სოციალისტურ მთავრობას“—განთავისუფლებულნი იქნენ.

ამ დღეებში იტყობინებოდენ უკვე ახალ ძალმომრეობაზე, რომელიც სისრულეში მოიყვანეს კრებაზე ქ. ოლმიუცში, სადაც ბურჟუაზიისაგან გახელებულმა ლეგიონერებმა ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს ამხ. მუნს, წააქციეს დარბაზში იატაკზე, სცემეს ჩექმების ქუსლებით და ბოლოს მძიმეთ დასჭრეს ხიშტით ზურგში. ამხანაგი მუნი გამოგლიჯეს ხელიდან ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზიის დაქირავებულებს მუშებმა.

დღეს ჩვენ მივიღეთ ჩეხო-სლოვაკიის გაზეთები, რომელნიც მოწმობენ იმას, რომ ძალმომრეობა, რომელსაც ჩეხოსლოვაკიაში ახდენენ კომუნისტებზე, ტარდება წინასწარ გამომუშავებულ და უაღრესათ მომზადებულ გეგმის მიხედვით, და მიზნათ აქვს პროვოკაცია მოუწყოს ჩეხიის პროლეტარიატს და გამოიწვიოს ის ნაწილობრივ, უდროვო და შეუკავშირებელ გამოსვლებზე,—როგორც ეს მოახერხა თავის დროზე გერმანიის და ავსტრიის ბურჟუაზიამ ნემეცების მუშების მიმართ რომ დაამარცხოს ისინი თეულათ ცალცალკე შეტაკებებში, და ამოჟლიტონ ამასთანავე მუშების საუკეთესო ბელადები.

აი რას აცყობინებენ ამის შესახებ ჩეხო სლოვაკიის მუშები თავის საერთაშორისო ძმებს:

**„საერთაშორისო პროლეტარიატს“:**

პატივცემულო ამხანაგებო! აქ კლადნოს მუშების ბრძანებისამებრ მივაქცევთ ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების პროფესიონალურ ორგანიზაციების ყურადღებას იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ჩეხო-სლოვაკიის სახელმწიფოში.

ყოველივე მოწმობს იმას, რომ აქაური ბურჟუაზია გამოქნილი თანდათანობით ამზადებს აქ მუშების წინააღმდეგ თეთრ ტერორის ხანას, იმ მუშების, რომელნიც მტკიცედ ადგანან პირდაპირი კლასიური ბრძოლის პრინციპებს და პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას.

ბურჟუაზიული პრესა სისტემატიურათ უმზადებს ნიადაგს „პოგრომულ“ სულისკვეთებას რევოლიუციონური მუშების წინააღმდეგ, და ეს მას მით უფრო უადვილდება, რომ ოპორტიუნისტული სოციალისტები პასიურათ იჭერენ თავს. ბურჟუაზიის ამ გადაწყვეტილებას ის ფაქტი მოწმობს, რომ ის თავის პოლიციას და ჯარს არც კი ენდობა, ვინაიდან უსასტიკეს დისციპლინასაც არ შეუძლია პროლეტარულ ელემენტების და პროლეტარული გრძნობების აღმოფხვრა მათგან. ბურჟუაზია აიარაღებს თავის საკუთარ ნაწილებს, „შევარდენის“ კავშირებს.

მივაქცევთ ამ მდგომარეობას საერთაშორისო პროლეტარიატის ყურადღებას, ვინაიდან ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზიას უნდა რათაც უნდა დაუჯდეს, გამოიწვიოს პროლეტარიატის უდროვო გამოსვლები, რომ აამხედროს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ თავისი თეთრი გვარდია.

აქ მუშათა მოძრაობა ვითარდება თავისებური ტაქტიკით, რაიცა სახელმწიფოში შექმნილი მდგომარეობის პასუხია. ჩეხიის მუშების მოძრაობა, რომელშიაც პირველად ნაციონალური იდეოლოგია უფრო მეტი იყო, ვიდრე კლასიური თვითშეგნება, სულ უფრო და უფრო იზრდება და ძლიერდება უკანასკნელ ხანებში მტკიცე კლასიური ბრძოლის ნიადაგზე. ეს პროცესი ვითარდება აქ სტიქიურათ, შეუჩერებელი სიძლიერით, მარა არა როგორც პატარა სექტის მოძრაობა, არამედ როგორც ნამდვილი მოძრაობა მასსებისა.

კლასიური ბრძოლა მიმდინარეობს აქ ახლა რევოლიუციონური პრინციპებისა და მიზნების შეუჩერებელ პროპაგანდისა.

ჩვენს მოღვაწეობაში არ ყოფილა ჯერ არც ერთი ისეთი გამოსვლა მუშების მხრივ, არც ერთი შემთხვევა ძალმომრეობისა, რომ მისცემოდათ სასურველი საბაბი თეთრი ტერორისათვის, რომლისთვისაც ემზადება ბურჟუაზია. მუშათა მოძრაობა გარემოცულია გადაწყვეტილებით არ გაუშვას ახლანდელი მომენტი კაპიტალისტური საზოგადოების ქონებრივი ურთიერთობის რევოლიუციონურათ გარდასაქმნელათ, მარა ამავე დროს ის გაჟღენთილია დიდი შინაგანი დისციპლინით.

ასეთი მდგომარეობა კიდევაც აბრაზებს ბურჟუაზიას და მას უნდა რათაც არ უნდა დაუჯდეს პროვოკაციისა და ტერორის საშუალებები მოიხმაროს.

იმ დროს, როცა მუშებს არც ერთხელ ერთხელ ჯერ არ გადაულახავთ საზღვარი პროპაგანდისა და ეკონომიურ ბრძოლის ნორმალური საშუალებებისა. ბურჟუაზიამ მიმართა მთელ რიგს ტერორისტული ძალმომრეობის აქტებს. ასეთ ძალმომრეობის მძიმე ტანჯვაში ჩაგდებულ იქნა ამხ. მუნი, რომლის სიცოცხლეც საფრთხეში ჩაავდო ქ. ოლმიუცში კრებაზე ლეგიონერების შაიკამ, რომელიც ბურჟუაზიისაგანაა წაქეზებული. ამხ. მუნმა და კიდევ მრავალმა სხვა ამხანაგებმა მთელი წელიწადი გაატარეს ციხეში. ახლა ბურჟუაზია იძულებული იქნა გაენთავისუფლებინა ის უკანონო დატუსაღებისაგან.

ჩვენ ვრაცხთ თავის მოვალეობათ გავაცნოთ ბურჟუაზიის პროვოკაციული ტენდენციები, რომელნიც ვითარდებიან ჩეხო-სლოვაკიის სახელმწიფოში, საერთაშორისო პროლეტარიატს მანამ, სანამ ეს ტენდენციები იქცევიან ფაქტებათ, რომლების გამოსწორება შემდეგ აღარ შეიძლება.

ჩვენ ვხდით ნიღაბს ჩეხიის ბურჟუაზიას, რომელსაც თავი მოაქვს საზღვარ გარეთ „დემოკრატიულათ“ და „კეთილშობილათ“, და ფარდას ვხდით ყველა ქვეყნების პროლეტარიატის წინაშე მათი კლასიური სისასტიკის სიშიშვლეს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელიც ახლახან პირდაპირი ბოიკოტით მართლაც დაეხმარა უნგრეთის მუშებს თავაშვებული თეთრი ტერორის წინააღმდეგ, თავისი საერთო გამოძახილის სიძლიერით შესწყვეტს თეთრების ძალმომრეობას, რომელსაც სისტემატიურათ ამზადებს ბურჟუაზია ჩეხო-სლოვაკების სახელმწიფოში.

გთხოვთ თქვენ, ამხანაგებო, გამოაქვეყნოთ ეს ჩვენი მოწოდება თქვენს სახელმწიფოს ყველა პოლიტიკურ და პროფესიონალურ გაზეთებში.

---

**ქ. კლადნო, 28 ივნისი 1920 წ.**

**კლადნოს ქვანახშირისა და ჩამომსხმელ-სამრეწველოების ცენტრის მუშების რწმუნებულები. „მიწათმოქმედების მუშები“.**

მე-3 ინტერნაციონალის მეორე კონგრესს არ შეუძლია არ ისმინოს ჩეხოსლოვაკიის პროლეტარიატის საუკეთესო ხმა. ყველა ქვეყნების რევოლიუციონური პროლეტალიატის საუკეთესო წარმომადგენლებმა უნდა თქვან თავისი სიტყვა ჩეხის მუშების დასახმარებლათ, ვინაიდინ ჩეხო სლოვაკიის ბურჟუაზია შედგა უნგრეთის მშრომელთა მასსების ჯალათების გზაზე.

იარ. სალატ.

---

**მუშები მხარს არ უჭერენ.**

რეველი, როგორც „დეილი გეროლდი“ იტყობინება ტრედ-უნიონების კონგრესმა ლონდონში განუცხადა მთავრობას, რომ ის მუშებიდან დახმარებას ვერ მიიღებს პოლონეთისთვის სამხედრო დახმარების საქმეში, რომელიც მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ.

---

# პროვინციის ცხოვრება.

**ხიდისთავი (გურია).**

ადგილობრივი მენშევიკების წყალობით ხიდისთავის თემი დიდ შიმშილს განიცდის. იმ დროს, როდესაც სოხუმში აუარებელი სიმინდი ეყარა და სხვა თემები შოულობდენ, ამ დროს ხიდისთავის თემის გამგეობას სძინავდა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ადგილობრივი მათი კოლექტივი ისეთ პირს ირჩევს თემის თავმჯდომარეთ, რომელსაც არაფერი არ გაეგება საზოგადო საქმის, რასაც ქვევით დავინახავთ. ამ ერთი წლის განმავლობაში ხიდისთავმა სამი გამგეობა გამოიცვალა. ეს იმიტომ, რომ ვერც ერთი გამგეობა ვერ იცავდა ხალხის ინტერესებს. ავიღოთ მაგალითად უკანასკნელი თემის გამგეობის შემადგენლობა. მოანგარიშეთ ვ. კალანდაძე იყო, თავმჯდომარეთ კი ლეონტი კვაჭანტირაძე. მთელი ბედ იღბალი ამ საზოგადოებისა ამ ორ კაცს ეჭირა ხელში. ორივე ესენი კოლექტივის მიერაა დასახელებული და დამტკიცებული კი საბჭოს მიერ ხიდისთავის ვებერთელა თემის გამგეობის თავმჯდომარეთ მისი არჩევა, ეს ხიდისთავის ხალხის მასხრათ აგდებაა. ამას დღეს მენშევიკებიც გრძნობენ. სხვა რომ არ იყოს რა, თემის თავმჯდომარეს ანგარიში მაინც უნდა ესმოდეს. ეს კარგათ იცოდენ მენშევიკებმა, მაგრამ, თუ ის თავმჯდომარეთ აირჩიეს ეს იმის ბრალია, რომ მათში კინკლაობაა და უნდოდენ მისი გადაგდება, რასაც უკვე მიაღწიეს. ზემოთ მე ვსთქვი, თემი დიდ შიმშილობას განიცდის, მაგრამ არავითარი ზომები არ იყო მიღებული. მართალია თავმჯდომარემ მიიღო „ზომა“, მაგრამ ვაი ასეთ ზომას. მან ადგილობრივათ მოახდინა „რეკვიზიცია“. ვისაც ნორმაზე მეტი სიმინდი აღმოაჩნდა ჩამოართვეს ფუთი 400 მ. ეს ჩამორთმეული სიმინდი შეადგენდა სულ რამოდენიმე ათ ფუთს. ამ სიმინდიდან 13 ფუთი ბ-ნ თავმჯდომარემ თვითონ მიირთვა, ექვსმა მილიციონერმა ზოგმა 7 ფუთი და ზოგმა ვინ იცის, და თუ რამე ცოტა მორჩა ის გაყიდეს ფუთი 700 მან. ისიც ისეთებს მიყიდეს, რომლებსაც სრულებით არ ეკუთვნოდა შედარებით. მე გავხდი მოწმე, ერთი მაგალითის როდესაც მშიერი ქალი, დასუსტებული მივიდა მასთან და სიმინდი სთხოვა, მან უპასუხა, „რა ვქნა მეც მშია, მაგრამ ერთხელაც არ წამიღიაო“, ამას ამბობს მაშინ. როდესაც მას 13 ფუთი უკვე წაღებული აქვს. საინტერესოა მისი პასუხი საბჭოს სხდომაზე, როდესაც მას სიმინდის ანგარიში მოსთხოვეს, მისი პასუხი მოკლეთ ასეთი იყო: „რა მექნა ჯარი ვიყავით სახლში და წავიღეთო“. ამავე სხდომაზე ფულის ანგარიშიც ჩამოართვეს და გამოირკვა, რომ ოცდათერთმეტი ათასი მანეთი არ სჩანდა, რის შემდეგაც აირჩიეს კომისია ფულის შესახებ. სხდომას ასეთი პასუხი მისცა: „თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მე, როგორც ძველი პარტიული მუშა ამ ფულს არ შევჭამდი და თუ გაიბნა ეს ჩემი უცოდინარობის ბრალია, რაც უკვე განვაცხადე არჩევის დროსო“.

მენშევიკების წყალობით ხიდისთავში ასეთები არა ერთხელ და ორხელ განმეორებულა, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ხიდისთავის გლეხობა სავსებით შეიგნებს მათ სიწამხთრეს და ეტყვის: „კმარა, რაც გვჭამეთო“.

უ—ლი.

---

# ყოფილი მენშევიკის განცხადება.

**გაზ. „ახ. კომუნ“. რედაქციაში.**

მე, ყოფილი მენშევიკი და სახალხო გვარდიელი დავრწმუნდი, რომ მენშევიკების პარტია არ გამოხატავს მშრომელთა მისწრაფებებს და სრულიადაც არ იცავს მუშათა კლასის ინტერესებს, ამიტომ მე სამუდამოთ ზურგს ვაქცევ მას და შევდივარ კომუნისტების პარტიაში.

მუშა ი. ქართველიშვილი.

---

**დრ. რედაქტორი:**

**დიმიტრი ჟორბენაძე.**